

შპს „ტესტა პეტროლიუმი“
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2024

ს ა რ ზ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ტესტა პეტროლიუმი“ 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
შპს „ტესტა პეტროლიუმი“ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2024 წლის 29 აგვისტოს:

დირექტორი -----

იოსებ მეგრელიძე

ფინ. დირექტორი -----

გიორგი ქსოვრელი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2024 წლის 29 აგვისტოს:

დირექტორი

ფინ. დირექტორი



იოსებ მეგრელიძე

გიორგი ქსოვრელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ტესტა პეტროლიუმის“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტესტა პეტროლიუმის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი - 405343070) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2024 წლის აპრილიდან, რის გამოც ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2023 წლის) დასაწყისში და ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით ან სხვა

ალტერნატიული გზებით, მარაგების რაოდენობებისა დადასტურება, რომლებიც კომპანიას აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს (2023 წლის დასაწყისში - 14 432 ათასი ლარი, 2023 წლის ბოლოს - 5 009 ათასი ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან და მის მოძრაობასთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას

ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას;

გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხედენილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს.“

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის კომპანის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს

ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

29 აგვისტო, 2024 წელი

ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

29 აგვისტო, 2024 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	430 059	55 407	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	743 513	793 786	3.2.
მარაგები	5 008 559	14 432 299	3.3.
გადახდილი ავანსები	216 418	5 931 617	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	478 428	485 503	3.4.
სხვა მიმდინარე აქტივები	1 316 732	1 269 302	3.5.
მოკლევადიანი აქტივები სულ:	8 193 708	22 967 913	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	50 845	64 177	
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	273 961	2 097 488	3.6.
გრძელვადიანი აქტივები სულ:	324 806	2 161 665	
აქტივები სულ:	8 518 514	25 129 578	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	277 360	6 846 288	3.7.
მოკლევადიანი სესხები	8 254 880	16 847 996	3.8.
სახელმწიფო ვალდებულებები	475 601	800 844	3.11.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1 868	656	
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	9 009 709	24 495 785	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	268 609	1 267 034	3.9.
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	268 609	1 267 034	
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	200	200	3.10.
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	(760 004)	(633 442)	
კაპიტალი სულ:	(759 804)	(633 242)	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	8 518 514	25 129 578	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 29 აგვისტოს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- იოსებ მეგრელიძე
ფინ. დირექტორი ----- გიორგი ქსოვრელი

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	430 059	55 407	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	743 513	793 786	3.2.
მარაგები	5 008 559	14 432 299	3.3.
გადახდილი ავანსები	216 418	5 931 617	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	478 428	485 503	3.4.
სხვა მიმდინარე აქტივები	1 316 732	1 269 302	3.5.
მოკლევადიანი აქტივები სულ:	8 193 708	22 967 913	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	50 845	64 177	
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	273 961	2 097 488	3.6.
გრძელვადიანი აქტივები სულ:	324 806	2 161 665	
აქტივები სულ:	8 518 514	25 129 578	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	277 360	6 846 288	3.7.
მოკლევადიანი სესხები	8 254 880	16 847 996	3.8.
სახელშეკრულებო ვალდებულებები	475 601	800 844	3.11.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1 868	656	
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	9 009 709	24 495 785	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	268 609	1 267 034	3.9.
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	268 609	1 267 034	
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	200	200	3.10.
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	(760 004)	(633 442)	
კაპიტალი სულ:	(759 804)	(633 242)	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	8 518 514	25 129 578	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 29 აგვისტოს და ხელმოწერილია:

დირექტორი

იოსებ მეგრელიძე

ფინ. დირექტორი

გიორგი ქსოვრელი

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2023 წელი	2022 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	92 424 243	254 282 206	3.11.
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(88 862 624)	(253 291 211)	3.12.
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	3 561 619	990 996	
მიწოდების ხარჯები	(1 129 059)	(1 312 512)	3.13.
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(555 082)	(1 100 409)	3.14.
სხვა საოპერაციო ხარჯები	(440 168)	(125 964)	3.15.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	1 437 309	(1 547 889)	
ფინანსური შემოსავალი	21 084	29 309	
ფინანსური ხარჯი	(1 063 239)	(1 744 084)	3.16.
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(199 271)	1 692 510	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	42 738	2 133 351	3.17.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(328 032)	(1 558 932)	3.18.
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(89 410)	(995 734)	
მოგების გადასახადი	(5 573)	(254 967)	
წლის წმინდა მოგება	(94 983)	(1 250 701)	
წლის სრული შემოსავალი	(94 983)	(1 250 701)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 29 აგვისტოს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- იოსებ მეგრელიძე

ფინ. დირექტორი ----- გიორგი ქსოვრელი

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2023 წელი	2022 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	92 424 243	254 282 206	3.11.
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოგება ძირითადი საქმიანობიდან	(88 862 624)	(253 291 211)	3.12.
	3 561 619	990 996	
მიწოდების ხარჯები	(1 129 059)	(1 312 512)	3.13.
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(555 082)	(1 100 409)	3.14.
სხვა საოპერაციო ხარჯები	(440 168)	(125 964)	3.15.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	1 437 309	(1 547 889)	
ფინანსური შემოსავალი	21 084	29 309	
ფინანსური ხარჯი	(1 063 239)	(1 744 084)	3.16.
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(199 271)	1 692 510	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	42 738	2 133 351	3.17.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(328 032)	(1 558 932)	3.18.
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(89 410)	(995 734)	
მოგების გადასახადი	(5 573)	(254 967)	
წლის წმინდა მოგება	(94 983)	(1 250 701)	
წლის სრული შემოსავალი	(94 983)	(1 250 701)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 29 აგვისტოს და ხელმოწერილია:

დირექტორი




იოსებ მეგრელიძე

ფინ. დირექტორი




გიორგი ქსოვრელი

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2021-სთვის	200	2 022 523	2 022 723
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(1 250 701)	(1 250 701)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	200	771 821	772 021
განაწილებული დივიდენდი	-	(1 405 263)	(1 405 263)
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	(1 405 263)	(1 405 263)
ნაშთი 31.12.2022-სთვის	200	(633 442)	(633 242)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(94 983)	(94 983)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	200	(728 425)	(728 225)
განაწილებული დივიდენდი	-	(31 579)	(31 579)
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	(31 579)	(31 579)
ნაშთი 31.12.2023-სთვის	200	(760 004)	(759 804)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 29 აგვისტოს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- იოსებ მეგრელიძე

ფინ. დირექტორი ----- გიორგი ქსოვრელი

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2021-სთვის	200	2 022 523 (1 250 701)	2 022 723 (1 250 701)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-		
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული	200	771 821	772 021
შემოსავალი	-	(1 405 263)	(1 405 263)
განაწილებული დივიდენდი	-	(1 405 263)	(1 405 263)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	200	(633 442) (94 983)	(633 242) (94 983)
ნაშთი 31.12.2022-სთვის	-		
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-		
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული	200	(728 425)	(728 225)
შემოსავალი	-	(31 579)	(31 579)
განაწილებული დივიდენდი	-		
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	200	(31 579)	(31 579)
ნაშთი 31.12.2023-სთვის	200	(760 004)	(759 804)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 29 აგვისტოს და ხელმოწერილია:

დირექტორი

ფინ. დირექტორი

იოსებ მეგრელიძე

გიორგი ქსოვრელი

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2023 წელი	2022 წელი	შენ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	108 788 788	289 376 992	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	814 018	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(70 463 585)	(239 318 128)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(436 959)	(492 876)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	406	(370)	
გადახდილი გადასახადები	(26 464 779)	(46 933 584)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(410 513)	(85 319)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	11 013 359	3 360 733	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(700)	(20 055)	
სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	12 907	(2 526 993)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	12 207	(2 547 048)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	172 930 647	320 892 817	
სესხების დაფარვა	(181 419 929)	(318 208 354)	
გადახდილი პროცენტები	(993 474)	(1 640 233)	3.19.
გადახდილი დივიდენდები	(30 000)	(1 335 000)	
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	(875 755)	(392 731)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(10 388 510)	(683 501)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(262 404)	(76 391)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	374 652	53 793	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	55 407	1 613	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	430 059	55 407	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 29 აგვისტოს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- იოსებ მეგრელიძე

ფინ. დირექტორი ----- გიორგი ქსოვრელი

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2023 წელი	2022 წელი	შენ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	108 788 788	289 376 992	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	814 018	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(70 463 585)	(239 318 128)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(436 959)	(492 876)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	406	(370)	
გადახდილი გადასახადები	(26 464 779)	(46 933 584)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(410 513)	(85 319)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	11 013 359	3 360 733	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(700)	(20 055)	
სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	12 907	(2 526 993)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	12 207	(2 547 048)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	172 930 647	320 892 817	
სესხების დაფარვა	(181 419 929)	(318 208 354)	
გადახდილი პროცენტები	(993 474)	(1 640 233)	3.19.
გადახდილი დივიდენდები	(30 000)	(1 335 000)	
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	(875 755)	(392 731)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(10 388 510)	(683 501)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(262 404)	(76 391)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	374 652	53 793	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	55 407	1 613	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	430 059	55 407	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 29 აგვისტოს და ხელმოწერილია:

დირექტორი

ფინ. დირექტორი

იოსებ მეგრელიძე

გიორგი ქსოვრელი

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 34-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტესტა პეტროლიუმის“ (შემდგომში - კომპანია) მიერ. შპს „ტესტა პეტროლიუმი“ დარეგისტრებულია 2019 წლის 03 ივლისს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია - 405343070, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., №37-39, კომერციული ფართი №303. დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორს წარმოადგენდა ფიზიკური პირი იოსებ მეგრელიძე (პირადი ნომერი 01024047701), რომელიც არის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი.

1.3. კომპანიის მმართველობის ორგანოებია:

ა) საერთო კრება;

ბ) დირექტორი.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი - იოსებ მეგრელიძე.

1.4. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია:

საწვავის იმპორტი და საბითუმო გაყიდვა.

1.6. ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, რაც იწვევს ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს.

1.7. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება დაარსების თარიღიდან წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS ანუ „ფასს“-ები) სრული ვერსიის მიხედვით.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია „ფასს“-ების ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფასს-ების შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება - პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი

ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს აღირიცხება გარიგების ღირებულებით (რაც დადგენილია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად).

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მაშინ, როცა:

1) თუ ეს აქტივი წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე. საპროცენტო ამონაგები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2) როცა კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს მათგან გამომდინარე ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღე-ის, ექსპორტის საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები მოკლე პერიოდის საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

მომსახურების გაწევა. ამონაგები მიწოდებული მომსახურებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდება მომსახურების გაწევა.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელთა მიხედვით საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. აღნიშნულის გამო, კომპანია არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს ფულის დროითი ღირებულების ფაქტორის მიხედვით.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულისა, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და მოგება-ზარალში აისახება „ფინანსური შემოსავლის“ მუხლში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტაში ასახული ფულადი მუხლების გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება დასაქმებულ პირთაგან წარსულში მიღებული მომსახურების/შესრულებული სამუშაოს საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან

დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, 3 თვემდე ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურების ზარალი აღიარდება - 2%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე - 10%-დან 70%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ დღიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/ საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კავშირგაბმულობის საშუალებები	- 10%
ინვენტარი	- 20%;
კომპიუტერული ტექნიკა	- 20%;
ელექტრონული მოწყობილობები	- 20%;
ავეჯი	- 12.50%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;
- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.5. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (ძირითადად – ფინანსური დაწესებულებებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, გარდა ზოგიერთი სახის საწარმოსი (მაგალითად, კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრირებული პირები...), როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგალითად - საზღვარგარეთ ფილიალების არსებობისას).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15% (გარდა საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის, რომელთათვის მოგების გადასახადის განაკვეთი არის 20%).

2.6. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ის ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.7. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2023 წლის საშუალო კურსები:

1 აშშ დოლარი = 2.6241 ლარი, 1 ევრო=2.8415 ლარი.

2.8. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოცემული იყო 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით და ჯერ არ არის დანერგილი

- სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანიის ამ სტანდარტების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.);

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი) თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
ფული სალაროში	1	-
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	399 264	52 001
ფული საბროკერო ანგარიშებზე	30 794	3 406
	430 059	55 407

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
ადგილობრივი დამკვეთები	761 448	846 101
მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების გაუფასურება	(17 935)	(52 316)
	743 513	793 786

3.3. მარაგები:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
გასაყიდად გამიზნული საქონელი	4 964 087	14 387 568
სხვა მარაგები	44 471	44 730
	5 008 559	14 432 299

3.4. წინასწარ გადახდილი გადასახადები:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 055 352	48 189 848
საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები. რომელთა ჩათვლა/დარიცხვა მოხდება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ	63 980	(917 935)
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ასახული საბაჟო გადასახდელები	(640 904)	(46 786 409)
	478 428	485 503

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	1 268 046	1 261 845
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	1	408
წაყენებული პრეტენზიები	37 000	-
სხვა მიმდინარე აქტივები	11 684	7 050
	1 316 732	1 269 302

3.6. გამოყენების უფლების მქონე აქტივი:

საიჯარო საქმიანობის ხასიათი

31.12.2023-ის მდგომარეობით იჯარით აღებულია ფართი, რომელსაც იყენებს კომპანია ადმინისტრაციული საქმიანობისთვის.

	2023 წელი
აქტივი	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2022	2 097 488
აქტივების გამოყენების უფლების მატება	249 849
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(19 096)
სულ ხარჯები:	(19 096)
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(19 096)
აქტივების გამოყენების უფლების გასვლა (ხელშეკრულების მოდიფიკაციით)	(2 054 279)
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2023	273 961
ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2022	2 048 596
საიჯარო ვალდებულების მატება	249 849
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	78 132
საკურსო (შემოსავალი)/ხარჯი უცხოურ ვალუტაში აღრიცხული საიჯარო ვალდებულებიდან	20 851
სულ ხარჯები:	98 983
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	78 132
საიჯარო ვალდებულების გასვლა (ხელშეკრულების მოდიფიკაციით)	(1 213 544)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(875 755)
საიჯარო ვალდებულების კაპიტალში შეტანა	-
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2023	308 128

	2022 წელი
აქტივი	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2021	381 650
აქტივების გამოყენების უფლების მატება	2 112 279
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(396 441)
სულ ხარჯები:	(396 441)
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(396 441)
აქტივების გამოყენების უფლების გასვლა (ხელშეკრულების მოდიფიკაციით)	-
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2022	2 097 488
ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2021	366 176
საიჯარო ვალდებულების მატება	2 112 279
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	110 165
საკურსო (შემოსავალი)/ხარჯი უცხოურ ვალუტაში აღრიცხული საიჯარო ვალდებულებიდან	(147 294)
სულ ხარჯები:	(37 129)
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	110 165
საიჯარო ვალდებულების გასვლა (ხელშეკრულების მოდიფიკაციით)	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(392 731)
საიჯარო ვალდებულების კაპიტალში შეტანა	-
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2022	2 048 596

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 31.12.2023		
ვადადამდგარი	1 წლამდე	1-5 წლამდე
0	64 546	229 173

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 31.12.2022		
ვადადამდგარი	1 წლამდე	1-5 წლამდე
105781	1 056 215	1 414 047

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი კომპანიებში	215 499	1 061 526
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი კომპანიებში	61 843	5 784 762
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი ფიზიკურ პირებთან	18	-
	277 360	6 846 288

3.8. მოკლევადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	8 170 963	16 822 378
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (პროცენტი)	8 518	25 619
მოკლევადიანი ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ (ძირი)	70 000	-
მოკლევადიანი ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ (პროცენტი)	5 398	-
	8 254 880	16 847 996

თიბისი ბანკისგან მიღებულ სესხის ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიას აქვს შემდეგი ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები (კოვენანტები):

- ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (EBITDA) 300%-ზე მეტი;
- სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR მინიმუმ 1,3 დონეზე. Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 1,05 დონეზე;
- კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ 3.0 დონეზე;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აიღოს სესხი ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება, გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა;

- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ მის საკუთრებაში არსებული აქტივები;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან რაიმე სხვა ფორმით სხვას განკარგულებაში გადასცეს მის საკუთრებაში არსებული ფინანსური აქტივები;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები ან ინვესტიციები სხვა კომპანიებში;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს დივიდენდები;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს სესხი;
- სესხის მოქმედების პერიოდში, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში საგადასახადო გირავნობის ან ინკასოს გაჩენის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოხდნა 30 კალენდარული დღის განმავლობაში;
- მსესხებელს/პრინციპალს არ აქვს უფლება, სესხის/გარანტიის მოქმედების პერიოდში, გააფორმოს რაიმე სახის ექსკლუზიური ხელშეკრულება, ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე;
- მსესხებელი ვალდებულია საბანკო ბრუნვების 100% აწარმოოს თიბისი ბანკში არსებულ ანგარიშებზე.

კომპანიის კუთვნილ აქტივებზე - მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „თიბისი ბანკს“ (ს/ნ 204854595), რომლის საფუძველია:

- გირავნობის ხელშეკრულება, 1231232798522, (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 21.05.2020). გირავნობის საგანს წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული და სამომავლო მარაგები სრულად.
- გირავნობის ხელშეკრულება, 1231232830837, (ნოტარიუსი ირმა გოგია, 04.11.2020). გირავნობის საგანს წარმოადგენს გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში მითითებული არსებული და სამომავლო მარაგები სრულად, გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში მითითებული არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება სრულად.
- გირავნობის ხელშეკრულება, 1231232957096, (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 20.06.2022) შეთანხმება გირავნობის ხელშეკრულებაში 1231232957096 ცვლილების შეტანის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 28.10.2022). გირავნობის საგანს წარმოადგენს გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის 2.1.2 ქვეპუნქტში აღწერილი არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება.

კომპანიის კუთვნილ აქტივებზე - მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „ლიბერთი ბანკს“ (ს/ნ 203828304), რომლის საფუძველია:

- გირავნობის ხელშეკრულება, 1660659254, (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 18.08.2022). გირავნობის საგანს წარმოადგენს გირავნობის ხელშეკრულების დანართში #1-ში აღწერილი საწვავის (მათ შორის ბენზინის) მთელი არსებული და სამომავლო მარაგები.

- გირავნობის ხელშეკრულება, C28922161.0595.001.06, (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 31.08.2022). გირავნობის საგანს წარმოადგენს გირავნობის ხელშეკრულების დანართში #1-ში მითითებული მოძრავი ქონება

3.9. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები:

გრძელვადიან ვალდებულებას წარმოადგენს გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება.

3.10. განთავსებული კაპიტალი:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ტესტა პეტროლიუმი“ განთავსებული კაპიტალი შეადგენს 200 ლარს.

3.11. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:

	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები საწვავის ადგილობრივი რეალიზაციიდან	92 190 482	205 630 245
ამონაგები საწვავის საბაჟო საწყობიდან რეალიზაციიდან	231 702	1 968 523
რეექსპორტი	-	40 408 169
ექსპორტი	-	6 251 425
სხვა ამონაგები	2 059	23 843
	92 424 243	254 282 206

ცხრილი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ამონაგებს, რომელიც მოიცავს შესადარის პერიოდში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.

	2023	2022
01 იანვარი	800 844	1 446 191
აღიარებული ამონაგები	(305 822)	(1 213 342)
აღიარებული ამონაგებთან დაკავშირებული გადას	(55 048)	(218 401)
მომხმარებლისთვის დაბრუნებული ავანსი	(439 975)	(14 448)
მიღებული ავანსი გადასახადის ჩათვლით	475 601	800 844
31 დეკემბერი	475 601	800 844

სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენს შპს ჯეტ ტრეიდისგან (463237 ლარი) და შპს 777-სგან (12364 ლარი) საწვავის შესაძენად მიღებული თანხები, რომელთა შესრულების ვადა არის 2024 წლის თებერვლის დასაწყისი.

3.12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება:

	2023 წელი	2022 წელი
მარაგები	88 862 624	253 291 211
	88 862 624	253 291 211

3.13. მიწოდების ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
ტრანსპორტირების ხარჯი	137 733	686 908
ოჯარის ხარჯები	987 467	593 411
მიწოდების სხვა ხარჯები	3 859	32 194
	1 129 059	1 312 512

3.14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
თანამშრომელთა ანაზღაურება	438 078	464 690
საბანკო ხარჯები	29 079	67 148
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	19 096	396 441
ცვეთის ხარჯები	14 185	16 433
საექსპლუატაციო ხარჯები	13 943	24 818
საკონსულტაციო ხარჯი	25 347	23 500
მივლინების ხარჯები	1 082	28 212
საგადასახადო ხარჯები	573	48 531
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13 701	30 636
	555 082	1 100 409

3.15. სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
სახელფასო ხარჯები	104 116	145 348
მომხმარებელთან გაფორმებული		
ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სავაჭრო	(34 380)	(50 212)
მოთხოვნის დაოქმადების ხარჯი		
სხვა საოპერაციო ხარჯები	370 433	30 827
	440 168	125 964

3.16. ფინანსური ხარჯი:

	2023 წელი	2022 წელი
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	985 078	1 633 919
ფინანსური იჯარა	78 132	110 165
სხვა ფინანსური ხარჯები	30	-
	1 063 239	1 744 084

3.17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი:

	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი ჯარიმებიდან	-	950 470
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერიდან შემოსავალი	22 541	1 182 872
შემოსავალი იჯარის შეწყვეტიდან	20 197	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	10
	42 738	2 133 351

3.18. სხვა არასაოპერაციო ხარჯი:

	2023 წელი	2022 წელი
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერიდან ხარჯი	30 379	183 397
გემის მოცდენის ჯარიმა	19 759	943 140
ჯარიმები და საურავები	79 176	421 461
ხარჯი იჯარის შეწყვეტიდან	100 824	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	97 894	10 934
	328 032	1 558 932

3.19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან:

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლამირებით ან გადაკუსრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	16 822 378	181 389 929	-	437 660	172 830 647	-	345 526	8 170 963
სასესხო ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ	-	30 000	-	-	100 000	-	-	70 000
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	-	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	2 048 596	797 623	1 213 544	-	-	249 849	20 851	308 128
სულ:	18 870 973	182 217 552	1 213 544	437 660	172 930 647	249 849	366 378	8 549 091

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	25 619	993 474	3 265	979 639	-	8 518
გადასახდელი პროცენტები იურიდიული პირის მიმართ	(0)	-	-	5 398	-	5 398
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	-	78 132	-	78 132	-	-
სულ:	25 619	1 071 605	3 265	1 063 168	-	13 917

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2021-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლამირებით ან გადაკუსრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2022-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	16 151 161	317 999 841	-	3 792 730	320 892 571	-	1 571 216	16 822 378
სასესხო ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ	223 523	208 514	-	22 362	-	-	7 353	-
გადახდილი დივიდენდები	-	1 405 263	-	-	-	1 405 263	-	-
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	366 176	282 566	-	147 294	-	2 112 279	-	2 048 596
სულ:	16 740 860	319 896 183	-	3 962 386	320 892 571	3 517 542	1 578 569	18 870 973

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2021-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2022-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	25 459	1 627 277	-	1 622 004	5 432	25 619
გადასახდელი პროცენტები იურიდიული პირის მიმართ	792	10 683	48	9 887	52	(0)
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	-	110 165	-	110 165	-	-
სულ:	26 251	1 748 125	48	1 742 056	5 484	25 619

3.20. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის

გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი, აქტივების ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების გზით. შეფასების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.21. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აცნობიერებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რისთვისაც შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკა, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს.

კომპანიის მომხმარებლების შესახებ არ არსებობს გამოქვეყნებული საკრედიტო რეიტინგები. აქედან გამომდინარე, კომპანია მომხმარებლებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვას ახდენს ინდივიდუალური მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვებს გზით (სადაც ეს შესაძლებელია) და მომხმარებლებისთვის, მათთან წარსული ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით, დებიტორულ დავალიანების სიდიდეზე ლიმიტის დაწესების გზით.

კომპანია მომხმარებლებისგან არ მოითხოვს სავაჭრო მოთხოვნების უზრუნველყოფას.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, ფასს 9-ს მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად კომპანიამ მოახდინა სავაჭრო მოთხოვნების დაჯგუფება ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

31.12.2023

	არ არის ვადაგადაცილებული	ვადაგადაცილება არაუმეტეს 3 თვისა	ვადაგადაცილება 3 თვეზე მეტი ხნით, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა	ვადაგადაცილება 1 წელზე მეტი ხნით	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები - მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება	-	758 677	33	2 739	761 448
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	(15 174)	(23)	(2 739)	(17 935)
სულ:	-	743 503	10	-	743 513

31.12.2022

	არ არის ვადაგადაცილებული	ვადაგადაცილება არაუმეტეს 3 თვისა	ვადაგადაცილება 3 თვეზე მეტი ხნით, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა	ვადაგადაცილება 1 წელზე მეტი ხნით	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები - მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება	-	660 713	162 541	22 847	846 101
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	(13 214)	(16 254)	(22 847)	(52 316)
სულ:	-	647 499	146 287	-	793 786

წარმოდგენთ გაუფასურების ზარალის შეჯერების ცხრილს:

	2023 წ.	2022 წ.
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	(52 316)	(102 528)
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(14 596)	(30 237)
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის ანუღირება (გადახდის ან უიმედო ვალად აღიარების გამო)	48 977	80 449
ნაშთი პერიოდის ბოლოს	(17 935)	(52 316)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული არადისკონტირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მათი ვადიანობის მიხედვით.

31.12.2023

	0 - 6 თვე	6 - 12 თვე	1-დან 5 წელამდე	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები	743 513	-	-	743 513
სავაჭრო ვალდებულებები	277 360	-	-	277 360
ნასესხები თანხები	8 254 880	-	-	8 254 880
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	9 275 753	-	-	9 275 753

31.12.2022

	0 - 6 თვე	6 - 12 თვე	1-დან 5 წელამდე	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები	793 786	-	-	793 786
სავაჭრო ვალდებულებები	6 846 288	-	-	6 846 288
ნასესხები თანხები	15 450 136	-	-	15 450 136
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	23 090 210	-	-	23 090 210

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

რაოდენობრივი ანალიზი საპროცენტო რისკებთან დაკავშირებით არ ჩატარებულა, რადგან 2023 წლის ბოლოს აქვს სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების მიმართ – „ლიბერთი ბანკის“ და „თიბისი ბანკის“ წინაშე და აღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შეცვლა არ არის მოსალოდნელი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, აშშ დოლარის მიმართ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

31 დეკემბერი, 2023 წ.

	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	30 794	30 794
სხვა მიმდინარე აქტივები	917 446	917 446
აქტივები სულ:	948 240	948 240
სავაჭრო ვალდებულებები	138 254	138 254
მოკლევადიანი სესხები	6 486 570	6 486 570
სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	-
ვალდებულებები სულ:	6 624 825	6 624 825
ნეტო შედეგი	(5 676 584)	(5 676 584)
USD (10% ცვლილება)	(567 658)	

31 დეკემბერი, 2022 წ.

	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3 406	3 406
სხვა მიმდინარე აქტივები	911 245	911 245
აქტივები სულ:	914 650	914 650
სავაჭრო ვალდებულებები	6 471 449	6 471 449
მოკლევადიანი სესხები	15 471 137	15 471 137
სახელშეკრულებო ვალდებულებები	439 524	439 524
ვალდებულებები სულ:	22 382 110	22 382 110
ნეტო შედეგი	(21 467 460)	(21 467 460)
USD (10% ცვლილება)	(2 146 746)	

3.22. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
ხელფასები და სხვა სარგებელი	75 000	-	76 214	-
მივლინება	859	-	3 618	-
გაცემული დივიდენდი	31 579	-	1 405 263	-

ზასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

3.23. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი – ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები და თვისობრივი სიახლე არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში, თუმცა მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დაგები

- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნდა სასამართლო დავა შპს „ტესტა პეტროლიუმის“ მიმართ თანხის დაკისრება ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო. დავა მიმდინარეობდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. მოსარჩლე მხარეს წარმოადგენდა შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“.

აღნიშნულ სამოქალაქო საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ნაწილობრივ დააკმაყოფილა შპს „ტესტა პეტროლიუმის“ შეგებებული სარჩელი და შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანას“ შპს „ტესტა პეტროლიუმის“ სასარგებლოდ დაეკისრა ჯამურად 100668 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ მიერ აპელაციის წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, რომლის 2023 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანას“ შპს „ტესტა პეტროლიუმის“ სასარგებლოდ დაეკისრა ჯამურად 24363 ლარის გადახდა. შპს „ტესტა პეტროლიუმს“ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 450 ლარის ოდენობით.

2023 წლის 10 ნოემბერს შპს „ტესტა პეტროლიუმმა“ წარადგინა დაუზუსტებელი საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადასაგზავნად.

- 2023 წლის 21 ნოემბერს შპს „ტესტა პეტროლიუმის“ სახელით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ იქნა სარჩელი მოპასუხე შპს „ნათიანას“ მიმართ ზედმეტად გადარიცხული ნასყიდობის ფასის 29628 ლარის უკან დაბრუნების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2024 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „ტესტა პეტროლიუმის“ სარჩელი და მოპასუხე შპს „ნათიანას“ დაეკისრა ჯამში 30567 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და დაწყებულია სააღსრულებლო საქმისწარმოების ეტაპი.

3.24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2024 წლის 29 აგვისტომდე, არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 29 აგვისტოს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს ტესტა პეტროლიუმი

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ტესტა პეტროლიუმი“ (ს/ნ 405343070) დაარსდა 2019 წლის ივლისში, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტი და საბითუმო რეალიზაცია. კომპანიის ნავთობპროდუქტის შესანახად საჭირო რეზერვუარები და ბაზა განთავსებულია თბილისში, რომლებიც იჯარით აქვს აღებული. 2023 წლის განმავლობაში საწვავით ამარაგებდა 239-მდე პარტნიორ კომპანიას, რომელთაგან არიან როგორც ავტოგასამართი სადგურები ასევე სამშენებლო და სხვა კომპანიები. რაც შეეხება მომწოდებლებს შპს „ტესტა პეტროლიუმს“ ჰყავს როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი მომწოდებელი კომპანიები.

შპს „ტესტა პეტროლიუმის“ დაარსებიდან მთელი 2019, 2020, 2021, 2022 და 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანიის დამფუძნებელი (100% წილის მფლობელი) და დირექტორი არის იოსებ მეგრელიძე (პ/ნ 01024047701). 2023 წელს თანამშრომელთა რაოდენობა კომპანიაში შეადგენდა 18 თანამშრომელს.

შპს „ტესტა პეტროლიუმი“ არ ფლობს შვილობილ კომპანიებს.

კომპანიის გეგმები და მიზნები

შპს „ტესტა პეტროლიუმი“ არ გეგმავს სხვა საწარმოს შეძენას ან საკუთარი გასხვების უახლოეს მომავალში. კომპანიის უახლეს გეგმებში შედის (სადისტრიბუციო) რეალიზაციის მოცულობის გაზრდა და სარეალიზაციო ბაზრის გაფართოება მთელი ქვეყნის მასშტაბით. დაგეგმილია დამატებითი ბაზის ამოქმედება და აგს-ის ქსელის შექმნა. ქსელის გაფართოების შედეგად კომპანია უზრუნველყოფს პროდუქციის უწყვეტ მიწოდებას მომხმარებლისთვის და ამასთანავე მათთვის შეთავაზებული ასორტიმენტის გაზრდას. ამასთანავე, იგეგმება კომპანიის ცნობადობის ამაღლება რაც თავის მხრივ დაგეგმვარება გაყიდვების და მოგების გაზრდაში. კომპანიის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მოგების მიღება.

2023 წელს კომპანიას არ განუხორციელებია კვლევები ან სხვა მსგავსი ღონისძიებები. კომპანიას არ გააჩნია ინვესტიციები სხვა კომპანიებში.

რისკების ანალიზი

შპს „ტესტა პეტროლიუმის“ წინაშე არსებულ ძირითად და მნიშვნელოვან რისკებს წარმოადგენს სავალუტო რისკი, ნავთობის საერთაშორისო ფასის ცვლილების რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და ასევე სავაჭრო მოთხოვნების ამოუდებლობის რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას შორის გაცვლითი კურსის მკვეთრ ცვლილებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის

სარეალიზაციო ფასებზე, რეალიზაციაზე მოცულობაზე და მის მოგებაზე. ასევე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია გაცვლითი კურსის გავლენა კომპანიის საბანკო სესხებზე, გამომდინარე იქიდან რომ კომპანიის შემოსავალი არის ეროვნულ ვალუტაში (ლარი) ხოლო საბანკო სესხების დიდი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი). სავალუტო რისკი მართვა ხდება ბაზართან შედარებით უკეთესი გავლითი კურსის შეთანხმებით პარტნიორ ბანკებთან. ასევე სესხის აღებამდე მენეჯმენტი განიხილავს ადგილობრივი ბანკების მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა წინადადებებს და არჩევს მაგთან საუკეთესოს.

ნავთობის საერთაშორისო ფასის ცვლილების რისკი

შპს „ტესტა პეტროლიუმი“-სთვის გასათვალისწინებელი ფაქტორია ასევე ნავთობის საერთაშორისო ფასი რომელიც ყოველდღე განიცდის ცვლილებას, რაც პირდაპირ კავშირშია და ზეგავლენას ახდენს კომპანიის სარეალიზაციო ფასზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საბაზრო განაკვეთის შესაძლო ცვლილების გამო შესაძლებელია წარმოიშვას საპროცენტო განაკვეთის რისკი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის აქტივების და ვალდებულებების ღირებულებებზე.

სავაჭრო მოთხოვნების ამოუღებლობის რისკი

სავაჭრო მოთხოვნები წარმოქმნის საკრედიტო რისკს რომელიც ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შპს „ტესტა პეტროლიუმის“ საქმიანობისთვის. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და შემდეგ მეორე მხარის მიერ ვალდებულების ვერ შერულებით. კომპანიაში მუდმივამ მიმდინარეობს სავაჭრო მოთხოვნების მონიტორინგი.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2023 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 92 424 243 ლარი ხოლო წლის ზარალმა შეადგინა - 94 983 ლარი. წლის ბოლოს კომპანიის აქტივების მთლიანი ღირებულება იყო 8 518 514 ლარი.

2022 წელთან შედარებით 2023 წელს ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით კომპანიას ჰქონდა შემოსავლების კლება და ზარალის შემცირება.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები:

ფინანსური მაჩვენებლები	2023, ლარი
ამონაგები რეალიზაციიდან	92 424 243
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(88 862 624)
საერთო მოგება	3 561 619
მთლიანი სრული შემოსავალი (წლის მოგება)	(94 983)
სულ აქტივები	8 518 514
სულ კაპიტალი	(759 804)
სულ ვალდებულებები	9 278 318
საერთო მოგების მარჟა	3.85%
გადასახადამდე მოგების მარჟა	-0.10%
ROA	-1.12%
ROE	12.50%

შპს „ტესტა პეტროლიუმ“

იოსებ მეგრელიძე

დირექტორი

29 აგვისტო, 2024 წელი

თბილისი, საქართველო



შპს ტესტა პეტროლიუმი

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ტესტა პეტროლიუმი“ (ს/ნ 405343070) დაარსდა 2019 წლის ივლისში, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტი და საბითუმო რეალიზაცია. კომპანიის ნავთობპროდუქტის შესანახად საჭირო რეზერვუარები და ბაზა განთავსებულია თბილისში, რომლებიც იჯარით აქვს აღებული. 2023 წლის განმავლობაში საწვავით ამარაგებდა 239-მდე პარტნიორ კომპანიას, რომელთაგან არიან როგორც ავტოგასამართი სადგურები ასევე სამშენებლო და სხვა კომპანიები. რაც შეეხება მომწოდებლებს შპს „ტესტა პეტროლიუმს“ ჰყავს როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი მომწოდებელი კომპანიები.

შპს „ტესტა პეტროლიუმის“ დაარსებიდან მთელი 2019, 2020, 2021, 2022 და 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანიის დამფუძნებელი (100% წილის მფლობელი) და დირექტორი არის იოსებ მეგრელიძე (პ/ნ 01024047701). 2023 წელს თანამშრომელთა რაოდენობა კომპანიაში შეადგენდა 18 თანამშრომელს.

შპს „ტესტა პეტროლიუმი“ არ ფლობს შვილობილ კომპანიებს.

კომპანიის გეგმები და მიზნები

შპს „ტესტა პეტროლიუმი“ არ გეგმავს სხვა საწარმოს შეძენას ან საკუთარი გასხვების უახლოეს მომავალში. კომპანიის უახლეს გეგმებში შედის (სადისტრიბუციო) რეალიზაციის მოცულობის გაზრდა და სარეალიზაციო ბაზრის გაფართოება მთელი ქვეყნის მასშტაბით. დაგეგმილია დამატებითი ბაზის ამოქმედება და აგს-ის ქსელის შექმნა. ქსელის გაფართოების შედეგად კომპანია უზრუნველყოფს პროდუქციის უწყვეტ მიწოდებას მომხმარებლისთვის და ამასთანავე მათთვის შეთავაზებული ასორტიმენტის გაზრდას. ამასთანავე, იგეგმება კომპანიის ცნობადობის ამაღლება რაც თავის მხრივ დაგეგმარება გაყიდვების და მოგების გაზრდაში. კომპანიის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მოგების მიღება.

2023 წელს კომპანიას არ განუხორციელებია კვლევები ან სხვა მსგავსი ღონისძიებები. კომპანიას არ გააჩნია ინვესტიციები სხვა კომპანიებში.

რისკების ანალიზი

შპს „ტესტა პეტროლიუმის“ წინაშე არსებულ ძირითად და მნიშვნელოვან რისკებს წარმოადგენს სავალუტო რისკი, ნავთობის საერთაშორისო ფასის ცვლილების რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და ასევე სავაჭრო მოთხოვნების ამოუღებლობის რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას შორის გაცვლითი კურსის მკვეთრ ცვლილებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის

სარეალიზაციო ფასებზე, რეალიზაციაზე მოცულობაზე და მის მოგებაზე. ასევე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია გაცვლითი კურსის გავლენა კომპანიის საბანკო სესხებზე, გამომდინარე იქიდან რომ კომპანიის შემოსავალი არის ეროვნულ ვალუტაში (ლარი) ხოლო საბანკო სესხების დიდი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი). სავალუტო რისკი მართვა ხდება ბაზართან შედარებით უკეთესი გავლითი კურსის შეთანხმებით პარტნიორ ბანკებთან. ასევე სესხის აღებამდე მენეჯმენტი განიხილავს ადგილობრივი ბანკების მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა წინადადებებს და არჩევს მაგთან საუკეთესოს.

ნავთობის საერთაშორისო ფასის ცვლილების რისკი

შპს „ტესტა პეტროლიუმი“-სთვის გასათვალისწინებელი ფაქტორია ასევე ნავთობის საერთაშორისო ფასი რომელიც ყოველდღე განიცდის ცვლილებას, რაც პირდაპირ კავშირშია და ზეგავლენას ახდენს კომპანიის სარეალიზაციო ფასზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საბაზრო განაკვეთის შესაძლო ცვლილების გამო შესაძლებელია წარმოიშვას საპროცენტო განაკვეთის რისკი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის აქტივების და ვალდებულებების ღირებულებებზე.

სავაჭრო მოთხოვნების ამოუღებლობის რისკი

სავაჭრო მოთხოვნები წარმოქმნის საკრედიტო რისკს რომელიც ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შპს „ტესტა პეტროლიუმის“ საქმიანობისთვის. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და შემდეგ მეორე მხარის მიერ ვალდებულების ვერ შერულებით. კომპანიაში მუდმივამ მიმდინარეობს სავაჭრო მოთხოვნების მონიტორინგი.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2023 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 92 424 243 ლარი ხოლო წლის ზარალმა შეადგინა - 94 983 ლარი. წლის ბოლოს კომპანიის აქტივების მთლიანი ღირებულება იყო 8 518 514 ლარი.

2022 წელთან შედარებით 2023 წელს ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით კომპანიას ჰქონდა შემოსავლების კლება და ზარალის შემცირება.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები:

ფინანსური მაჩვენებლები	2023, ლარი
ამონაგები რეალიზაციიდან	92 424 243
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(88 862 624)
საერთო მოგება	3 561 619
მთლიანი სრული შემოსავალი (წლის მოგება)	(94 983)
სულ აქტივები	8 518 514
სულ კაპიტალი	(759 804)
სულ ვალდებულებები	9 278 318
საერთო მოგების მარჟა	3.85%
გადასახადამდე მოგების მარჟა	-0.10%
ROA	-1.12%
ROE	12.50%

შპს „ტესტა პეტროლიუმი“

იოსებ მეგრელიძე

დირექტორი

29 აგვისტო, 2024 წელი

თბილისი, საქართველო